საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

ა ქ ტ ი

№ 39/00 „20" [illegible] 2010 ქ. თბილისი

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"

საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი ჯერენაშვილი

„20 [illegible]" 2010 წელი

ეგზ.N2

ობიექტი: სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმართველ ქალაქ ფოთში ადმინისტრაციის ბიუჯეტის შესრულების ფინანსური (კამერალური) აუდიტი

პერიოდი: 01/01/09-01/01/10

თბილისი, 0144, ქეთევან წამებულის გამზ. 96
ტელ: +(995 32) 438-438; ფაქსი: +(995 32) 438-136; www.control.ge

საქართველოს კონტროლის პალატა

www.control.ge

ბიუჯეტის შესრულების ფინანსური (კამერალური) აუდიტის აქტი

ობიექტი: სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმართველ ქალაქ ფოთში ადმინისტრაციის ბიუჯეტის შესრულების ფინანსური (კამერალური) აუდიტი

პერიოდი: 01/01/09-01/01/10

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი

აპრილი, 2010

შინაარსი / საძიებელი

ნაწილი I. შესავალი		გვ. 2
ნაწილი II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები		გვ. 2
ნაწილი III. ძირითადი ტექსტი		გვ. 3
1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა:		გვ.3
1.1 წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება;		გვ.3
1.2 დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით;		გვ.5
1.3 საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა;		გვ.7
2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება):		გვ.9
2.1 არაფინანსური აქტივების ცვლილება		
2.2 დებიტორ-კრედიტორების ცვლილება.		გვ.10
ნაწილი IV. აუდიტის აქტის სამართლებლივი სტატუსი, პაუხისმგებლობები და უფლებამისილებანი		გვ.11
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები		გვ.11
აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები.	დანართი	A
გამოყენებული კანონმდებლობა და ნორმატიული აქტები.	დანართი	B

I. შესავალი

ბიუჯეტის შესრულების ფინანსური (კამერალური) აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2009 წლის 10 მარტის №34/43 ბრძანება.

აუდიტის ობიექტი - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში (ორგანიზაციული კოდი 1100). იურიდიული მისამართი: ქ. ზუგდიდი, 2100. ზვიად გამსახურდიას გამზირი №45. ტელ: (+995 215) 5 00 04

აუდიტის ჯგუფი - მთავარი აუდიტორი - კახაბერ უშიკიშვილი; (ჯგუფის ხელმძღვანელი); (საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი).

სააუდიტო პერიოდი - 2009 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის ვადა - 10/03/2010 – 10/04/2010 (დაწყება-დამთავრება)

შემოკლებანი:

ადმინისტრაცია - სახელმწიფო რწმუნებილის - გუბერნატორის ადმინისტრაცია (ორგანიზაციული კოდი 11 00).

II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

აუდიტის შედეგად მნიშვნელოვანი ხასიათის გარემოებები, რომლებმაც გამოიწვია უარყოფითი ხასიათის ფინანსური და ეკონომიკური შედეგები არ დადგინდა.

III. ძირითადი ტექსტი.

1.მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა:

1.1 წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება;

„2009 წლისათვის მხარჯავი დაწესებულებების კადრების და ასიგნებების ზღვრული მოცულობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 ივნისის № 139 დადგენილებით 2009 წლისათვის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას (ორგანიზაციული კოდი 11 00) კადრების ზღვრული მოცულობა განესაზღვრა 28 ერთეულით.

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით (30/12/08; № 945) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას სამეგრელო–ზემო სვანეთში განესაზღვრა მთლიანი ასიგნება 900.0 ათასი ლარის ოდენობით (835.0 ათასი ლარი – ,,ხარჯების" მუხლით, 65.0 ათასი ლარი – ,,არაფინანსური აქტივების მუხლით"), ხოლო მომუშავეთა რიცხოვნობა 28 ერთეულით.

სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების (4 დეკემბერი 2009 წელი) შედეგად სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას სამეგრელო–ზემო სვანეთში განესაზღვრა დაფინანსება 936.0 ათასი ლარის ოდენობით (835.0 ათასი ლარი – ,,ხარჯების" მუხლით, 101.0 ათასი ლარი – ,,არაფინანსური აქტივების მუხლით").

დაზუსტების შემდეგ 2009 წლის გამოყოფილმა ასიგნებამ შეადგინა 1733.5 ათასი ლარი (1641.5 ათასი ლარი – ,,ხარჯების" მუხლით, 92.0 ათასი ლარი – ,,არაფინანსური აქტივების მუხლით").

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის 2009 წლის 25 მარტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა № 106 - ის თანახმად შემცირდა ,,საქონელი და მომსახურების მუხლი" 6.0 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდა ,,არაფინანსური აქტივების" მუხლი ანალოგიური თანხით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის 2009 წლის 15 ივლისის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა № 364 – ის შესაბამისად ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად 36.0 ათასი ლარით გაიზარდა ,,არაფინანსური აქტივების" მუხლი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის 2009 წლის 12 აგვისტოს ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა №440 - ის შესაბამისად შემცირდა ,,საქონელი და მომსახურების მუხლი" 0.9 ათასი ლარით და გაიზარდა ,,სოციალური უზრუნველყოფის" მუხლი ანალოგიური თანხით.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 22 ოქტომბრის № 767 განკარგულების და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის 2009 წლის 26 ოქტომბრის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა №107 –ის შესაბამისად სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას სამეგრელო–ზემო სვანეთში მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო 193,4 ათასი ლარი, რაც დამატებულ იქნა ,,საქონელი და მომსახურების" მუხლზე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის 2009 წლის 2 ნოემბრის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა № 604 – ის შესაბამისად 15.0 ათასი ლარით შემცირდა ,,არაფინანსური აქტივების" მუხლი და გაიზარდა ,,საქონელი და მომსახურების" მუხლი.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 22 ოქტომბრის №767 და 11 ნოემბრის №839 განკარგულებების და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის 2009 წლის 20 ნოემბრის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა №107–1 –ის შესაბამისად სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას სამეგრელო–ზემო სვანეთში მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო 48.0 ათასი ლარი, რაც დამატებულ იქნა ,,საქონელი და მომსახურების" მუხლზე.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 22 ოქტომბრის №767, 11 ნოემბრის №839 და 18 ნოემბრის №876 განკარგულებების და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის 2009 წლის 10 დეკემბრის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა №107–2 –ის შესაბამისად სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას სამეგრელო–ზემო სვანეთში მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო 189.8 ათასი ლარი, რაც დამატებულ იქნა ,,საქონელი და მომსახურების" მუხლზე.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 22 ოქტომბრის №767, 11 ნოემბრის №839 და 18 ნოემბრის №876 განკარგულებების და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის 2009 წლის 22 დეკემბრის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა №107–3 –ის შესაბამისად სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას სამეგრელო–ზემო სვანეთში მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო 366,3 ათასი ლარი, რაც დამატებულ იქნა ,,საქონელი და მომსახურების" მუხლზე.

1.2 დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით;

ეკონომიური კლასიფიკაციის მიხედვით მუხლობრივმა გადანაწილებამ მიიღო შემდეგი სახე: (იხ. ცხრილი №1)

ცხრილი № 1

(ათას ლარებში)

მუხლის დასახელება	დამტკიცებული გეგმა	ცვლილება გეგმაში 04,12,09	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	სავასო ხარჯი	ფაქტიური ხარჯი	სხვაობა ფაქტიურსა და საკასო ხარჯებს შორის
2009 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული	900.0	936.0	1733.6	-	-	-	-	-
ხარჯები	835.0	835.0	1641.6	1641.3	1641.3	1641.3	2010.1	368,8
მათ შორის								
შრომის ანაზღაურება	456.9	456.9	456.9	456.7	456.7	456.7	456.7	0.0
თანამდებობრივი სარგო				288.2	288.2	288.2	288.2	0.0
პრემია				168.5	168.5	168.5	168.5	0.0
საქონელი და მომსახურება	378.1	378.1	1183.8	1183.8	1183.8	1183.8	1260.8	77.0
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება				34.8	34.8	34.8	34.8	0.0
მივლინებები				18.6	18.6	18.6	18.6	0.0
ოფისის ხარჯები				251.1	251.1	251.1	251.3	0.2
წარმომადგენლობითი ხარჯები				18.4	18.4	18.4	18.4	0.0
ტრანსპ. და ტექნიკის ექსპლუატაციის ხარჯები				47.2	47.2	47.2	148.0	100.8
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება				813.4	813.4	813.4	789.4	-24.0
სოციალური უზრუნველყოფა			0.9	0.8	0.8	0.8	0.8	0.0
ძირითადი კაპიტალის მოხმარება							291.8	291.8
არაფინანსური აქტივები	65.0	101.0	92.0	88.5	88.5	88.5	-	-
მანქანა დანადგარები				88.5	88.5	88.5	-	-

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით ფაქტიურ და საკასო ხარჯებს შორის სხვაობა შეადგენს 77.0 ათას ლარს, საიდანაც 0.2 ათასი ლარი შეადგენს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ უსასყიდლოდ გადმოცემული მცირეფასიანი ტექნიკის ღირებულებას, ასევე ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ უსასყიდლოდ გადმოცემული საწვავი – 100.8 ათასი ლარის ღირებულებით და 24.0 ათასი ლარი მიმწოდებლისთვის ავანსად გადარიცხული თანხა.

2009 წლის ბიუჯეტის ხარჯვის ძირითადი კაპიტალის მოხმარება შეადგენს 291.8 ათასი ლარს, რაც გამოწვეულია ძირითადი კაპიტალის მოხმარებით (დარიცხული ცვეთა).

მუხლობრივი გადანაწილება განხორციელებულია „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მთლიანი ასიგნების 10 % -ის ფარგლებში.

ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილ ანგარიშებში ასახული მონაცემები შესაბამისობაშია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების შესრულების მონაცემებთან.

ადმინისტრაციის პერსონალსა და მის მომსახურეობაზე გაწეული დანახარჯები: (იხ. ცხრილი №2)

ცხრილი № 2

(ათას ლარებში)

ხარჯი	ერთეული	გაწეული ხარჯი 2009 წლის განმავლობაში	საშუალო ხარჯი თვეში ერთ ერთეულზე
თანამდებობრივი სარგო	28	288.2	0.8
პრემია	28	168.5	0.5
საკომუნიკაციო ხარჯი	28	31,9	0.09
ავტოტრანსპორტის საწვავის ხარჯი	8	38,1	0.4
ტექმომსახურება	2	9,1	0.3

1.3 საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა;

საქართველოს მთავრობის განკარგულების N767 22.10.09 – ის და ამავე განკარგულებაში განხორციელებული ცვლილებების (N839 11.11.09 და N876 18.11.09) შედეგად – ,,ანაკლია–განმუხურის განვითარების პროექტების მომზადება და გეოტექნიკური კვლევებისათვის" სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას სამეგრელო – ზემო სვანეთში მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო დაფინანსება 729.6 ათასი ევროს ექვივალენტი ლარებში და 105.0 ათასი ლარი.

ზემოხსენებული განკარგულების და მასში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით გამოყოფილი თანხები უნდა მოხმარებოდა შემდეგი სახის სამუშაოების ჩატარებას:

ა) ანაკლია–განმუხურის განვითარების პროექტის მომზადება – 256.0 ათასი ევროს ექვივალენტი ლარში;
ბ) ანაკლია–განმუხურის განვითარების პროექტის ფარგლებში ბულვარის გასაშენებლად აუცილებელი გეოლოგიური კვლევების ჩატარება – 57.0 ათასი ლარი;
გ) მდინარე ენგურზე საცალფეხო ხიდის მშენებლობისათვის გეოტექნიკური კვლევების (ნიადაგის კვლევა, სეისმური ანალიზი, წყლისა და მიწის ქიმიური ანალიზი და სხვ.) ჩატარება – 48.0 ათასი ლარი;
დ) მდინარე ენგურზე საცალფეხო ხიდის მშენებლობისათვის საპროექტო სამუშაოების მომზადება – 473.6 ათასი ევროს ექვივალენტი ლარში;

გამოყოფილი დაფინანსებიდან 2009 წლის საკასო ხარჯმა შეადგინა 281.6 ათასი ევროს ექვივალენტი ლარში და 104.8 ათასი ლარი, საიდანაც ფაქტიურად გახარჯულია 281.6 ათასი ევროს ექვივალენტი ლარში და 80.8 ათასი ლარი (24.0 ათასი ლარი გაცემულია ავანსად საბანკო გარანტიით).

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის მიერ ,,ანაკლია–განმუხურის განვითარების პროექტების მომზადება და გეოტექნიკური კვლევებისათვის" სამუშაოთა საწარმოებლად გაფორმებულია ოთხი ხელშეკრულება სამ სხვადასხვა ორგანიზაციასთან:

1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N46 23.10.09 გაფორმებულია შპს. ,,CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS. S.I" (ესპანეთი) –სთან. სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 200.0 ათასი ევროს ექვივალენტს ლარში სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული გადასახდელების გარეშე. ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებელ მხარეს უნდა მოემზადებინა – ა) კონცეპტუალური და სალანდშაფტო პროექტი, ბ) პარკის კონსტრუქციის პროექტი ახალი ზღვისპირა ბულვარისა, რომელიც უნდა განთავსდეს განმუხური–ანაკლიის სანაპიროზე დაახლოებით ოთხი კილომეტრის სიგრძეზე. ხელშეკრულების მიხედვით არ იყო განსაზღვრული ტოპოგრაფიის და გეოლოგიურ – ინჟინერული გამოკვლევის სამუშაოების წარმოება.

2009 წელს საპროექტო სამუშაოების შემსრულებელ ორგანიზაციას გადაერიცხა 120.0 ათასი ევროს ექვივალენტი ლარში (299.4 ათასი ლარი), ასევე ბიუჯეტში გადახდილია მოგების

გადასახადი და დ.ღ.გ. ჯამური თანხით 83.8 ათასი ლარი (33.6 ათასი ევრო). მთავრობის განკარგულებით კონკრეტული პროექტისთვის გამოყოფილი 256.0 ათასი ევროდან 2009 წელს ათვისებულ იქნა 153.6 ათასი ევროს ექვივალენტი ლარში, ანუ 102.4 ათასი ევროთ ნაკლები ვიდრე იყო განსაზღვრული. საქართველოს მთავრობის N57 18.01.10 განკარგულებით მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხებიდან რომელთა ათვისებაც ვერ მოხერხდა 2009 წელს მოხდება გამოყოფა ,,საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ'' კანონით გათვალისწინებული მთავრობის სარეზერვო ფონდიდან. ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროექტო სამუშაოები 2009 წლის ბოლოსთვის არ არის დასრულებული.

2. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N47 24.11.09 გაფორმებულია შპს. ,,CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS. S.I" (ესპანეთი) –სთან. სახელშეკრულებო თანხამ შეადგინა 370.0 ათასი ევროს ექვივალენტი ლარში სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული გადასახადების გარეშე. ხელშეკრულების მიხედვით ორგანიზაციას უნდა შეესრულებინა მდინარე ენგურზე გადასასვლელი დაახლოებით 400 მეტრი სიგრძის ფეხმავალთა ხიდის წინასწარი დიზაინის პროექტი და ფეხმავალთა ხიდის სამშენებლო პროექტი. 2009 წელს საპროექტო სამუშაოების მწარმოებელი ორგანიზაციისთვის გადახდილია 100.0 ათასი ევროს ექვივალენტი ლარში (246.6 ათასი ლარი) და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის მიერ გადახდილია ბიუჯეტში გადასახდელი მოგების გადასახადი და დ.ღ.გ. ჯამური თანხით 67.6 ათასი ლარი (28.0 ათასი ევრო). მთავრობის განკარგულებით კონკრეტული პროექტისთვის გამოყოფილი 473.6 ათასი ევროდან 2009 წელს ათვისებულ იქნა 128.0 ათასი ევროს ექვივალენტი ლარში, ანუ 345.6 ათასი ევროთ ნაკლები ვიდრე იყო განსაზღვრული. საქართველოს მთავრობის N57 18.01.10 განკარგულებით მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხებიდან რომელთა ათვისებაც ვერ მოხერხდა 2009 წელს მოხდება გამოყოფა ,,საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ'' კანონით გათვალისწინებული მთავრობის სარეზერვო ფონდიდან. ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროექტო სამუშაოები 2009 წლის ბოლოსთვის არ არის დასრულებული.

3. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N48 25.11.09 გაფორმებულია შ.პ.ს. ,,მშენპროექტთან" სახელშეკრულებო თანხით 48.0 ათასი ლარი. ხელშეკრულების მიხედვით ხსენებულ ორგანიზაციას უნდა შეესრულებინა სოფელ ანაკლიასა და სოფელ განმუხურს შორის საცალფეხო ხიდის მშენებლობისათვის გეოტექნიკური კვლევების ჩატარება. ტექნიკური პირობების გამო სამუშაოთა მწარმოებული კომპანიის წერილობითი თხოვნის საფუძველზე მოხდა ხელშეკრულების კორექტირება (შეთანხმება N1) და შესასრულებელ სამუშაოთა ვადამ გადაიწია 2010 წლის 28 თებერვლამდე. სახელშეკრულებო თანხა 48.0 ათასი ლარის ოდენობით ანაზღაურებულია მთლიანად (24.0 ათასი ლარი მიღება ჩაბარების აქტით და 24.0 საბანკო გარანტიით ავანსის სახით). საქართველოს მთავრობის განკარგულებით კონკრეტული სამუშაოსათვის გამოყოფილი თანხა 48.0 ათასი ლარის ოდენობით მთლიანად არის ანაზღაურებული. ხელშეკრულებით განსაზღვრული გეოტექნიკური კვლევის სამუშაოები 2009 წლის ბოლოსთვის არ არის დასრულებული.

4. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N50 01.12.09 გაფორმებულია შ.პ.ს. "საპროექტო – სამშენებლო კომპანია დიზაინ–დ" – სთან სახელშეკრულებო თანხით 56.84 ათასი ლარი. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ანაკლია–განმუხურის განვითარების პროექტის ფარგლებში ბულვარის გასაშენებლად აუცილებელი გეოლოგიური კვლევების

ჩატარება. აღნიშნული სამუშაოები შესრულებულია, რაც დადასტურებულია მიღება ჩაბარების აქტით და შესაბამისად გადარიცხულია მთლიანი თანხა 56.84 ათასი ლარის ოდენობით. საქართველოს მთავრობის განკარგულებით კონკრეტული სამუშაოსათვის განსაზღვრული თანხიდან (57.0 ათასი ლარი) აუთვისებელი დარჩა 0.16 ათასი ლარი. ხელშეკრულებით განსაზღვრული გეოლოგიური კვლევების სამუშაოები 2009 წლის ბოლოსთვის სრულად არის დასრულებული.

სულ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 2009 წლის განმავლობაში გადარიცხულმა თანხამ ეროვნულ ვალუტაში შეადგინა – 797.4 ათასი ლარი.

მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაზე არ ვრცელდება საქართველოს კანონის – ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მოთხოვნები (კანონი ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 3₁ მუხლის ,,ე" ქვეპუნქტი).

2.ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება):

2.1 არაფინანსური აქტივების ცვლილება

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას სამეგრელო–ზემო სვანეთში 2009 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით ,,არაფინანსური აქტივების მუხლით" გამოეყო 65.0 ათასი ლარი, რამაც ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილების შემდეგ შეადგინა 101.0 ათასი ლარი, ხოლო დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 92.0 ათასი ლარი. ვალდებულებამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 88.5 ათასი ლარი, ანუ 3.5 ათასი ლარით ნაკლები. გამოყოფილი ასიგნება მოხმარდა საოფისე ტექნიკის და ავეჯის შეძენას.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 20 მაისის №378 განკარგულების შესაბამისად, და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 2 ივლისის №1-1/1630 ბრძანების შესაბამისად სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას სამეგრელო–ზემო სვანეთში უსასყიდლოდ გადაეცა ხუთი ერთეული სატრანსპორტო საშუალება (ორი ერთეული -ბულდოზერი, ორი ერთეული გრეიდერი და ერთი ერთეული ექსკავატორი) მთლიანი საბალანსო ღირებულებით - 1836,4 ათასი ლარი.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციამ ,,მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ" რწმუნებულის ადმინისტრაციას უსასყიდლოდ გადასცა 1.97 ათასი ლარის საოფისე ტექნიკა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს N653 28.10.09 ბრძანების შესაბამისად სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას უსასყიდლოდ გადაეცა 159.5 ათასი ლარის სატრანსპორტო საშუალებები და სპეცტექნიკა (ორი ერთეული მსუბუქი ავტომობილი, ერთი ერთეული ბეტონმზიდი და ერთი ერთეული ტრაილერი.)

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს N529 07.09.09 და N544 11.09.09 ბრძანებებით სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას უსასყიდლოდ გადაეცა 108.4 ათასი ლიტრი დიზელის საწვავი 100.8 ათასი ლარის ღირებულებით, საიდანაც ტერიტორიულ ერთეულებს გადაეცა 18.0 ათასი ლიტრი.

2.2 დებიტორ-კრედიტორების ცვლილება.

საანგარიშო პერიოდში დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების მდგომარეობა: (იხ. ცხრილი №3)

ცხრილი № 3

(ათას ლარებში)

დავალიანების დასახელება	2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	დავალიანების ზრდა/შემცირება საანგარიშო პერიოდში
დებიტორული დავალიანება	0.0	24.0	+24.0
კრედიტორული დავალიანება	43.6	43.6	0.0

დებიტორული დავალიანების ზრდა გამოწვეულია საქართველოს მთავრობის 18.11.09 – ის №876 განკარგულებით ანაკლია – განმუხურში გეოტექნიკური კვლევებისათვის გამოყოფილი თანხიდან 24.0 ათასი ლარის ავანსად გაცემით.

კრედიტორულ დავალიანებებს ცვლილება არ განუცდია.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის № 364 ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები წარდგენილია სრულად. ამასთან ერთად წლიური ბუღალტრული ანგარიშგება (ბალანსი) წარდგენილია აღნიშნული ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში.

IV აუდიტის აქტის სამართლებლივი სტატუსი, პაუხისმგებლობები და უფლებამისილებანი.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გაქვთ უფლებამოსილება აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროთ მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში, ქ. თბილისი ქეთევან წამებულის გამზირი N96.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები.

მთავარი აუდიტორი:

კახაბერ უშიკიშვილი

ხელმოწერა/თარიღი

20.05.2010

დანართი A - აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები.

ბიუჯეტის შესრულების ფინანსური (კამერალური) აუდიტის ჩატარების პერიოდში ადმინისტრაციაში, პასუხისმგებელი პირები იყვნენ:

ზაზა გოროზია - სახელმწიფო რწმუნებული
ერეკლე ჯაფარიძე - სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე
ირაკლი ამანათიძე - საფინანსო სამსახური უფროსი - 8 აპრილამდე
მალხაზ ციკუტანია – საფინანსო სამსახური უფროსი - 8 აპრილიდან
ეკა მგალობლიშვილი - მთავარი ბუღალტერი

დანართი B - გამოყენებული კანონმდებლობა და ნორმატიული აქტები.

აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შესწავლისას გამოყენებულია შემდეგი ლიტერატურა:

- საქართველოს კანონი „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ";
- საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ";
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული ფორმების დამტკიცების შესახებ".
- ბალანსები და მისი დანართები; ხარჯთანუსხის შესრულების ანგარიში; ფინანსთა სამინისტროს წერილები.